

საქართველოს კანონი

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №30 24.06.2005., მუხ.186) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები და ცვლილება:

1. მე-2 მუხლს „ე“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე¹-ე³“ ქვეპუნქტები:

„ე¹) სარეკრეაციო ტერიტორია - საქართველოს დასახლებული ან/და დაუსახლებელი ტერიტორია, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით მინიჭებული აქვს სარეკრეაციო ტერიტორიის სტატუსი და რომლის განვითარების ძირითადი პოტენციალია ტურიზმი და რეკრეაცია და მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ ბუნებრივ, კულტურულ კომპლექსებს, ტურისტული და საკურორტო ინფრასტრუქტურის ობიექტებს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანთა დასვენებისათვის მათი რეკრეაციული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად

ე²) სარეკრეაციო ტერიტორიებისა და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები - საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული ნორმატიული აქტი, რომელიც არეგულირებს სარეკრეაციო ტერიტორიებზე უძრავი ნივთების განვითარების, გამოყენების და მათში ცვლილებების შეტანის პროცესებს;

ე³) განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონა - ამ კანონის მიზნებისათვის - „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დედაქალაქის და ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქების ტერიტორიაზე განსაზღვრული განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონა.

2. კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს მთავრობის წარდგინებით, საქართველოს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიის ნაწილებს (გეგმარებით რეგიონებს) ან ცალკეულ დასახლებებს (მათ ტერიტორიულ ნაწილებს) შეიძლება მიენიჭოს განსაკუთრებული

სივრცით-ტერიტორიული რეგულირების სტატუსი, განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონები და სარეკრეაციო ტერიტორიები განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.“.

3. კანონის 26-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. სარეკრეაციო ტერიტორიებისა და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესი.“.

4. კანონის 29-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:

„10. სარეკრეაციო ტერიტორიებსა და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებში მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი“.

5. კანონის 30-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. სარეკრეაციო ტერიტორიებზე და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებში განაშენიანების რეგულირების გეგმას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი“.

6. კანონის 36-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საქართველოს პრეზიდენტს 2007 წლის 1 სექტემბრამდე დასამტკიცებლად წარუდგინოს:

ა) სარეკრეაციო ტერიტორიებისა და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები;

ბ) სარეკრეაციო ტერიტორიებსა და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებში მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმა;

გ) სარეკრეაციო ტერიტორიებზე და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებში განაშენიანების რეგულირების გეგმა.

მუხლი 2.

1. ეს კანონი, გარდა პირველი მუხლის მე-6 პუნქტისა, ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტების გამოცემისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი